ოქმი:**ო37. 3725122001**

თარიღი:**02/05/2025**

ოქმი N 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2025 წელი, 30 აპრილი

ქ. ოზურგეთი

11.00 -13 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, ს. ქარცივაძე, ხ. თავდიშვილი, გ. შილაკაძე, დ. მდინარაძე, გ. სირაძე, ნ. ნადირაშვილი, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 30-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 30-ხმით.

დღის წესრიგი

14.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30- ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა განკარგულების პროექტი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

15.2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30- ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის დანართში არის ტექნიკური ხარვეზი, ნაცვლად სიტყვა „სტიქიის შედეგად“ უნდა ეწეროს „ამორტიზირებული“. მუნიციპალიტეტის მერიამ პროექტის შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურაში წარდგენისას, ალბათ მიზანშეწონილია, მოახდინოს დანართის შესწორებული ვარიანტის გაგზავნა.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა განკარგულების პროექტი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

16.3. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბ. თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30- ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა განკარგულების პროექტი და მახარს უჭერს მის დამტკიცებას.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ და საკრებულოს წევრმა ბ. ქათამაძემ დასვეს შეკითხვა-მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს თუ არა პროექტების თანადაფინანსებას? უპასუხეს-ფინანსური შესაძლებლობის შესაბამისად აუცილებლად განხორციელდება პროექტების თანადაფინანსება.

17.4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პავლე ჭყონია

გ. ჩავლეშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30- ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა განკარგულების პროექტი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ მართლაც შთამბეჭდავია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები და იმედი გამოთქვა რომ კიდევ უფრო უკეთესი იქნება წლევანდელი წელი.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა წლიური ანგარიში, და მხარს უჭერს მის დამტკიცებას, ბიუჯეტის შესრულების ყველა ძირითადი პარამეტრები ნათლად აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებას გააჩნია სწორი სტრატეგია და ტაქტიკა მუნიციპალიტეტის მდგრადი სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის, მოუწოდა კოლეგებს მხარი დაუჭირონ ანგარიშის დამტკიცებას.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა(ა).ი.პ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების შედეგების თაობაზე ინფორმაციის მოსმენისა და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

ინფორმაცია საკრებულომ მიიღო ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა- რატომ არ იქნა შესწავლილი ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობაც? უპასუხეს, რომ მიმდინარე წლის აგვისტოს თვეშია გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშის მოსმენა.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიზნობრივად გამოყენებისა და საიჯარო ქირის ადმინისტრირების შესახებ ინფორმაციის მოსმენისა და ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

ინფორმაცია საკრებულომ მიიღო ცნობად.

7. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ დამსწრე საზოგადოებას და ქვეყანას მიულოცა ქართული შეიარაღებული ძალების შექმნის 30 -წლისთავი.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი